N	დასახელება	ინფორმაცია / განმარტება
1. პროგრამული უზრუნველყოფა	*WorldTracer-ის პროგრამული უზრუნველყოფა*	*დაკარგული ბარგის საძიებო პროგრამა ქუთაისის აეროპორტისათვის. ინსტალაციის საფასური*
	WorldTracer-ის ყოველთვიური სააბონენტო	*დაკარგული ბარგის საძიებო პროგრამა ქუთაისის აეროპორტისათვის. ყოველთვიური სააბონენტო ჯამურად*
	RESA-ს ტექნიკური მხარდაჭერა	მგზავრების და ავაირეისების სპეციალური სარეგისტრაციო პროგრამა. განახლებული ვერსიის ინსტალაციის საფასური
	SITA მომსახურება	აეროპორტებისა და ავიაკომპანიების სპეციალური საკომუნიკაციო პროგრამა. ყოველთვიური მომსახურების საფასური ჯამურად.
	მიმართულებების განვითარების ანალიტიკური სისტემა	სხვადასხვა ავიამიმართულებებზე სიხშირეების და მგზავრთნაკადის სტატისტიკისა და კვლევის ანალიტიკური პროგრამა წლიური სააბონენტო
	ვებ-გვერდების და სოციალური მარკეტინგის ხარჯები	ქუთაისის აეროპორტის ვებ-გვერდისა, ფაისბუქ-გვერიდის და მგზავრებისათვის აპლიკაციების შექმნის საფასური
	არსებული საბუღალტრო პროგრამის გამართვის ხარჯი	არსებული საბუღალტრო პროგრამა საჭიროებს პროგრამისტის ჩარევას, რათა შესაძლებელი გახდეს რიგი მონაცემების სწორად და სრულად ამოღება ახალ პროგრამაში გადასატანად.
	სკრინერების მომზადების პროგრამა	სპეციალური სასწავლო პროგრამა (სახიფათო ტვირთების სიმულატორით) კომპანიის საავიაციო უშიშროების სასწავლო ცენტრისთვის, რომლითაც ხდება ბარგის სკანირების ოპერატორთა (ე.წ. სკრინერთა) მომზადება.
	სხვა პროგრამული უზრუნველყოფა	წინასწარ გაუთვალისწინებელი, სხვა შესაძლო საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა.

2. ტრენინგები	ქუთაისის აეროპორტის თანამშრომელთა სავალდებულო ტრენინგები	ტრენინგები, რომელთა პერიოდული გავლა (გადამზადების სახით არსებულ პერსონალზე, ასევე ახალი პერსონალის დატრენინგება) აუცილებელია აეროპორტის პერსონალისათვის ადგილობრივი თუ საერთაშორისო ნორმატივების და რეკომენდაციების შესაბამისად
	ავიამიმართულებების განვითარების ტრენინგები	კომპანიის შესაბამისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება ავიამიმართულებებისა და მგზავრთნაკადის ანალიზისა და პროგნოზირების მეთოდებსა და უნარებში
	საავაციო უშიშროების ტრენინგები	პერიოდული სავალდებულო თუ რეკომენდებული ტრენინგები და გადამზადება კომპანიის საავიაციო უშიშროების პერსონალისათვის
	სხვადასხვა უნარებისა და პროფესიული განვითარების ტრენინგები	სხვადასხვა ტრენინგები კომპანიის შესაბამისი თანამშრომლებისათვის უსაფრთხოების, სერვისის, კომუნიკაციის, მენეჯმენტის და სხვ. სფეროში, მათ შორის აუცილებელია უსაფრთხოების მართვის ტრეინინგის გავლა (Safety Management)
3. სპეც. ლიტერატურა და ნორმატიული მასალები	სპეც. ლიტერატურა და ნორმატიული მასალები	სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცემები, ცნობარები, ნორმატიული აქტები და მისთ. რომლებიც ესაჭიროება აეროპორტის ამა თუ იმ სამსახურს მის სფეროში არსებული სტანდარტების შესახებ ცოდნის ასამაღლებლად და დასანერგად.
4. საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურებები	თბილისის საერთაშორისო აეროპორტის რეაბილიტაციის ხარისხის მართვა და მონიტორინგი - IATA - გადასახადების ჩათვლით	თბილისის აეროპორტის ოპერატორი კომპანიის მიერ მისი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის პროცესში IATA-ს საკონსულტაციო მომსახურება
	იურიდიული მომსახურება	თბილისის აეროპორტის ოპერატორ კომპანიასთან ხელშეკრულების გადასინჯვის პროცესში იურიდიული საკონსულტაციო მომსახურება (Dechert Georgia). გამოყენებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ არსებული კონტრაქტის ხანგრძლივობა (მთავრდება 2015 წლის მარტის ბოლოს) არ აღმოჩნდება საკმარისი.

5. სპეციალური ტექნიკა, ხელსაწყოები, მოწყობილობები, სისტემები, მომსახურებები, სახარჯი მასალები, შეკეთება/ტექნიკური მომსახურება	სხვადასხვა ხელსაწყოები, მოწყობილობები, სისტემები, მომსახურებები, სახარჯი მასალები, შეკეთება/ტექნიკური მომსახურება	აეროპორტებში (ძირითადად ქუთაისის) სისტემებისა და სპეცტექნიკის სპეციფიური ნაწილების, ტექნიკური მომსახურების და მისთ. შესაძლო ხარჯი სხვადასხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის, მათ შორის, გადაუდებელ, ავარიულ სიტუაციებში.
6. აეროპორტების ინფრასტრუქტურის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის საჭირო საქონელი და მომსახურება	ინფრასტრუქტურის ნაწილების, სახარჯი მასალების, ტექნიკური მომსახურების, მასთან დაკავშირებული სწავლების, ლიცენზირების ან სერტიფიცირების ხარჯი	იგულისხმება აეროპორტების ელექტრო ინფრასრუქტურა, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა, გათბობა-გაგრილების ინფრასტრუქტურა, ტერიტორიაზე დაშვების ინფრასტრუქტურა, ვიდეოკონტროლის ინფრასტრუქტურა და სხვ. ასევე აეროპორტების ისეთი ნაგებობები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ აეროპორტის ოპერირებისთვის. აქ შედის ამ ინფრასტრუქტურის სპეციფიური ნაწილების, ტექნიკური მომსახურების და მისთ. შესაძლო ხარჯი, მათ შორის, სხვადასხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის, გადაუდებელ, ავარიულ სიტუაციებში და სხვ. თანხა განსაზღვრულია ბიზნეს-გეგმაში არსებული ტექმომსახურებების, სხვადასხვა მოწყობილობების და გაუთვალისწინებელი ხარჯის თანხების გათვალისწინებით.
7. მარკეტინგული, დიზაინის და მასმედიის მასალები და მომსახურებები	მარკეტინგული მასალების დიზაინის და დამზადების ხარჯი	როგორც მთლიანად კომპანიის, ისე ცალკეული აეროპორტის ღონისძიებებისთვის ფლაერების და ბანერების დიზაინი და დამზადება; ბრენდირებული აქსესურების დიზაინი და დამზადება; გამოჭენებსა და ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ან მათი მასპინძლობისათვის საჭირო სტენდების დიზაინი და დამზადება (მაგ. Routes Europe).
	7 დეკემბრის - სამოქალაქო ავიაციის დღის ღონისძიების ორგანიზების ხარჯი	ღონისძიებისთვის საჭირო სტენდები, ბანერები, მარკეტინგ-მატერიალები და მომსახურებები
	ქუთაისის აეროპორტში ახალი რეისების გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიებების ხარჯი	ღონისძიებისთვის საჭირო სტენდები, ბანერები, მარკეტინგ-მატერიალები და მომსახურებები

	პრეს-კონფერენციების ორგანიზების ხარჯი	ღონისძიებისთვის საჭირო სტენდები, ბანერები, მარკეტინგ-მატერიალები და მომსახურებები
	დასაქმების ფორუმში მონაწილეობის ხარჯი	ღონისძიებისთვის საჭირო სტენდები, ბანერები, მარკეტინგ-მატერიალები და მომსახურებები
	ქუთაისის აეროპორტის ავიამიმართულებების პოპულარიზაციისთვის პრეს-ტურების ორგანიზების ხარჯი	ღონისძიებისთვის საჭირო ბილეთები, მარკეტინგ-მატერიალები და მომსახურებები
	ქუთაისის აეროპორტში მგზავრთა წახალისების მიზნით სხვადასხვა მარკეტინგული აქტივობების ხარჯი	ღონისძიებისთვის საჭირო მარკეტინგ-მატერიალები, საქონელი და მომსახურებები
	სხვადასხვა PR მასალების ხარჯი	მისალოცი ბარათების, მოსაწვევების, სასაჩუქრე პარკების დიზაინი და დამზადება
	სტატიების განთავსების ხარჯი	კომპანიის მიღწევებისა თუ გეგმების, სიახლეების შესახებ მარკეტინგული და საინფორმაციო სტატიების განთავსება სხვადასხვა ავტორიტეტულ გამოცემებში, მედია-მომსახურებები
8. სამედიცინო და სამაშველო ინვენტარი და მომსახურებები	სამედიცინო და სამაშველო ინვენტარი და მომსახურებები ქუთისის და მესტიის აეროპორტებისათვის	ბიზნეს გეგმა ითვალისწინებს 405 000 ლარს სამედიცინო-სამაშველო მასალებისა და მოწყობილობებისთვის, ასევე დაახლ. 47 000 ლარს სახანძრო-სამაშველო ამუნიციისთვის, 200 000 ლარს სწრაფი რეაგირების სახანძრო-სამაშველო მანქანისა და მისი აღჭურვილობისთვის. განკარგულებაში მითითებული თანხა პირობითი ოდენობით არის აღებული აქედან, იმ შემთხვევებისათვის, თუ კონკრეტული შესყიდვის განხორციელება გამარტივებული წესით გახდება აუცილებელი.
9. ახალი ავიაკომპანიების და მიმართულებების წახალისება	აეროპორტებში ახალი ავიაკომპანიების შემოსვლის ანდა არსებული ავიაკომპანიების მიერ ახალი მიმართულებების დამატებისათვის საჭირო მარკეტინგული ღონისძიებების ხარჯები	ავიაკომპანიებთან მარკეტინგულ ღონისძიებებზე გასაფორმებელი კონტრაქტების თუ სხვა მარკეტინგული ღონისძიებების ხარჯები, რომლებიც უშუალოდ არის საჭირო ახალი ავიაკომპანიების შემოსვლისათვის ან არსებული ავიაკომპანიების მიერ ახალი მიმართულებების დამატებისათვის